თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

01.04.2024

N 1461

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

თქვენი 2024 წლის 28 თებერვლის N 6/11309 წერილის პასუხად, ქალაქ ფოთში მდებარე სამი ერთეული მიწის ნაკვეთის (ს/კ 04.01.03.816, 04.01.03.817 და 04.01.03.663) პრივატიზების შესახებ გაცნობებთ რომ, სამომავლოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობების აშენების შემთხვევაში სამშენებლო პროექტი საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან".

მითითებული ტერიტორიისა და რკინიგზის ინფრასტრუქტურის ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ОСН 3.02.01-97 „რკინიგზის გასხვისების ზოლის პროექტირების ნორმების და წესების" 2.2.3.4 პუნქტის, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები. უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა შეზღუდვები დამოკიდებულია ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით.

ზემოაღნიშნული ნორმებია და პირობებისა დაცვის შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ მითითებული უძრავი ქონების განკარგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე